საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კეთილშობილი ირემი

კეთილშობილი ირემი (Cervus elaphus), ძუძუმწოვარი წყვილჩლიქოსან ცხოველთა რიგიდან, ირმისებრთა ოჯახიდან. სახეობა იყოფა 15 ქვესახეობად: კავკასიური, ევროპული, ბუხარული, მარალი, ვაპიტი და სხვ. სხეულის სიგრძე – 2,3 მ, ნიდაოში – 1,6 მ, მასა – 350 კგ. ზედა მხარე ყავისფერი აქვს, წითური ან მოყვითალო ელფერით, ქვედა – უფრო მკრთალი; ყელსა და თავს დაჰკრავს მორუხო ელფერი, კუდის ქვეშ აქვს დიდი თეთრი ლაქა. ზამთრობით მთელ სხეულს მორუხო ელფერი დაჰკრავს. ნუკრებს თეთრი ხალები აქვთ, რ-ებიც ზრდასრულ ასაკში უქრებათ. კავკასიურ ქვესახეობას (C. maral) ხალები ზოგჯერ რუდიმენტის სახით შეიძლება შერჩეს. ირემი 20 წლამდე ცოცხლობს. რქები მხოლოდ ხარირემს აქვს (ქვესახეობიდან გამომდინარე სხვადასხვა რაოდენობის ტოტებით – 2–10). გამრავლების პერიოდის (ხურაობა, მყვირალობა) შემდეგ, გაზაფხულზე რქები სცვივა და შემდგომ ისევ ამოსდის. ახალგაზრდა მამრებს მცირე რაოდენობის ტოტები აქვთ, 5–12 წლის ასაკში მათი რაოდენობა და რქების სისქე მაქსიმუმს აღწევს, შემდეგ ტოტების რაოდენობა იკლებს და რქები სუსტდება. მყვირალობა აგვისტოდან თებერვლამდე შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში სექტემბერ-ნოემბერზე მოდის. მრავლდება წელიწადში ერთხელ.

კ. ი. გავრცელებულია ევროპაში, ჩრდ. და ცენტრ. აზიაში, ჩრდ. ამერიკაში; აფრიკაში მხოლოდ ტუნისში შემორჩა. ინტროდუცირებულია ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ჩილესა და არგენტინაში. კავკასიაში ბრაკონიერობისა და ადგილსამყოფლის დეგრადაციის გამო უმეტესად გამქრალია. შემორჩენილია მხოლოდ დაცულ ტერიტორიებზე და მთიან დაღესტანში. საქართველოში გვხვდება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ლაგოდეხის ნაკრძალში, ძალიან მცირე რაოდენობით – გარდაბნის აღკვეთილში. ერთეულების სახით ზოგჯერ გვხვდება თრიალეთის ქედზე, ასევე თუშეთის ეროვნულ პარკში, სადაც დაღესტნიდან გადმოდის.

გვხვდება ფოთლოვან, ნათელ და ჭალის ტყეებში, სუბალპებსა და ალპებში, სადაც ზაფხულობით ადის. იკვებება მცენარეული საკვებით, ეტანება სამარილეებსა და მინერალებით მდიდარ მიწას, რ-საც ჭამს კიდეც.

კ. ი. შესულია „საქართველოს წითელ ნუსხაში", როგორც გადაშენების უკიდურესი საფრთ-ხის წინაშე მყოფი ტაქსონი (CR).

ა. ბუხნიკაშვილი